

მე-10 კლასი

ძირითადი დავალებები (50 ქულა)

- წრეწირში ჩახაზული სამკუთხედის პერიმეტრი 30სმ-ია, თითოეული გვერდის სიგრძეა შესაბამისად: 5სმ, 12სმ და 13სმ. როგორია მოცემული სამკუთხედი? (4 ქულა)
A) სხვადასხვაგვერდა, ბლაგვეკუთხა B) სხვადასხვა გვერდა, მართკუთხა C) ტოლფერდა მახვილკუთხა
- ამოხსენით უტოლობა: $\left(\frac{1}{2}\right)^{5-2x} < 2^{3x+8}$ (4 ქულა)
A) $x > 13$ B) $x > -13$ C) $2 > x > 13$
- $\frac{10}{2x^2-7x-4}$ იპოვეთ გამოსახულების განსაზღვრის არე. (4 ქულა)
A) $R\{-1; 8\}$ B) $(1; 8)$ C) $R\{-0,5; 4\}$
- ამოხსენით სისტემა: $\begin{cases} x^2 < 49 \\ |x + 2| \geq 4 \end{cases}$ (5 ქულა)
A) $(-7; -6] \cup [2; 7)$ B) $[-7; 6] \cup [2; 7)$ C) $(-7; -6) \cup (2; 7)$
- ნავმა პირველ საათში 4 კილომეტრი გაცურა, ხოლო ყოველ შემდეგ საათში 2 კმ-ით მეტს ცურავს, ვიდრე წინა საათში. მოძრაობის დაწყებიდან რამდენ საათში გაცურავს 418კმ-ს? (5 ქულა)
A) 11 B) 18 C) 19
- $\frac{\sqrt{4|x-2|-8}}{x-4}$ ცვლადის რა მნიშვნელობისთვის არ აქვს აზრი გამოსახულებას? (5 ქულა)
A) 0 B) $R\{0,4\}$ C) $[0,4]$
- იპოვეთ $\frac{4}{2x_1} + \frac{4}{2x_2}$, თუ x_1 და x_2 არის $x^2 + 27x + 152 = 0$ განტოლების ფესვები. (5 ქულა)
A) $-\frac{11}{76}$ B) $\frac{27}{76}$ C) $-\frac{27}{76}$
- ტოლფერდა ტრაპეციის დიაგონალი დიდ ფუძესთან მართი კუთხის ნახევარს ადგენს. იპოვეთ მოცემული ტრაპეციის ფართობი, თუ დიაგონალი 10სმ-ის ტოლია. (6 ქულა)
A) 50 B) 25 C) 100
- მოცემულია ორნიშნა რიცხვი. თუ მას მისსავე ციფრების ჯამზე გავყოფთ, მივიღებთ 7-ს, ხოლო თუ მას გამოვაკლებთ 27-ს, მივიღებთ თავდაპირველი რიცხვის ციფრების შეცვლილი თანმიმდევრობით ჩაწერილ ორნიშნა რიცხვს. იპოვეთ თავდაპირველი ორნიშნა რიცხვი. (6 ქულა)
A) 72 B) 63 C) 27
- ტოლფერდა ტრაპეციაში შუახაზი ფერდზე ორჯერ მეტია. ტრაპეციის პერიმეტრი 30სმ-ის ტოლია, მახვილი კუთხის ტანგენსი კი $\frac{3}{4}$ -ის. იპოვეთ ტრაპეციის ფართობი. (6 ქულა)
A) 80 B) 60 C) 30

ბონუს დავალებები (8 ქულა) - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

- ერთი ქვეყნის ვალუტის მეორე ქვეყნის ვალუტაში გადაცვლას ეწოდება: (4 ქულა)
A) ვალუტის კონვერტაცია B) ვალუტის ინფლაცია C) ვალუტის დევალვაცია
- მარიამი კვირაში 15 საათი მაღაზიაში მუშაობს. ის საათში 8 ლარს გამოიმუშავებს. მარიამი, როგორც ყველა დასაქმებული ადამიანი, იხდის საშემოსავლო გადასახადს - ხელფასის 20%-ს. გოგონას გრძელვადიანი მიზანია უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად თანხის შეგროვება და სურს ამ მიზნით ყოველთვე 100 ლარის დაზოგვა. ამ მიზნის მისაღწევად, თუ ამ თვეში 28 დღეა, მაქსიმუმ რა თანხის დახარჯვა შეუძლია მარიამს აუცილებელ და არააუცილებელ ხარჯებზე? (4 ქულა)
A) 280 ლარი B) 284 ლარი C) 380 ლარი